



Tempus



Development of International Model for Curricular Reform
in Multicultural Education and Cultural Diversity Training



ფატი შავაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
კურსდამთავრებული
პროექტ „DOIT“-ის მონაწილე

ნულოვანი კურსის სტუდენტები

ტუტორი

ნულოვან კურსის სტუდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტუტორს. ტუტორი მთელი სასწავლო წლის მანძილზე ეხმარება მათ დავალებების შესრულებაში და უადვილებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას.

4 წლიანი სტუდენტობის განსაკუთრებულად გამორჩეული, საინტერესო და ნაყოფიერი ეტაპი გახლდათ პერიოდი, როდესაც მოვხვდი ილიას უნივერსიტეტში არსებული არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში „ტუტორიუმი არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის“.

მთელი 9 თვის განმავლობაში ვიყავი მოსამზადებელი კურსის მე-7 ჯგუფის ტუტორი. ჯგუფში 25 სტუდენტი ირიცხებოდა მათგან 24 აზერბაიჯანელი და 1 სომეხი. პროექტის ფარგლებში ტუტორები მოსამზადებელი კურსის სტუდენტებს ვეხმარებოდით პროგრამით გათვალისწინებული კურსის მინიპროექტების ფარგლებში მიცემული დავალებების შესრულებაში. დავალებები გახლდათ სხვადასხვა სახის. მათი ძირითადი ნაწილი მიზნად ისახავდა სტუდენტებს გამოემუშავებინათ სხვადასხვა უნარები იქნებოდა ეს მოსმენილი და წაკითხული

ტექსტის გაგება,ლაპარაკი,დიალოგებში მონაწილეობა,წერა,პრეზენტაცია და რაც მთავარია დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

ვფიქრობ,მინიპროექტები საკმაოდ კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი კურსია.იგი პროგრამის მიზნების შესრულების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ.ცალსახად ცალკე განხილვას საჭიროებს ტუტორის როლი,რომლის მნიშვნელოვანებასაც ამყარებს წლების შედეგად დაგროვილი გამოცდილება.ფაქტია რომ ტუტორიუმის პროგრამამ მეტწილად უზრუნველყო არაქართულენოვან სტუდენტთა მიერ არამართო ენობრივი ბარიერის დაძლევა,არამედ ინტეგრირება უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსა და ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



მუშაობის საწყის ეტაპზე თავი იჩინა არაერთმა სირთულემ.ენობრივი ბარიერის დაძლევასთან ერთად ვმუშაობდით სხვა კულტურათა მიმართ არატოლერანტული განწყობის (დამოკიდებულების)წინააღმდეგ.მოსამზადებელი კურსის სტუდენტებმაგადალახესშიში და გაუბედაობა, ისინი ერთად ასრულებდნენ დავალებებს. გუნდური მუშაობა,ურთიერთობა საზოგადოებასთან,შემეცნებითი და სათავგადასავლო სავლე სამუშაოები,მუშაობა პროექტებსა და პრეზენტაციებზე გახლდათ პროექტის წარმატების მიზეზი.ბოლოს მინდა ვთქვა რომპროგრამა ნამდვილად მიმართულია უკეთესი მომავლისა და განათლების ხელშეწყობისაკენ.ამ პროგრამის დახმარებით მივიღე დიდი გამოცდილება და რაც მთავარია შევიძინე ადამიანები,რომლებიც დღეს ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან .

შეიძლება ითქვას, რომ ამ პროგრამის საშუალებითსტუდენტებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს. მათ ქართულ ენობრივ სივრცეში მიიღეს განათლება, დაუახლოვდნენ ერთმანეთს და აქტიური მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

